საქართველოს

განათლების სისტემის

გზამკვლევი

1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს განათლების სისტემა შედგება ოთხი ქვესისტემისგან, ესენია:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
2. ზოგადი განათლება;
3. პროფესიული განათლება;
4. უმაღლესი განათლება.

განათლების აღნიშნული სისტემები და შესაბამისი კვალიფიკაციები, ევროპული სისტემის მსგავსად, განლაგებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს რვა დონეზე, სადაც პირველი ყველაზე დაბალია, ხოლო მერვე - ყველაზე მაღალი. დონეების მიხედვით იზრდება საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე და ამ პროგრამების საფუძველზე გამომუშავებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მრავალფეროვნება.

ეს მიდგომა უზრუნველყოფს საქართველოში მიღებული განათლების თავსებადობასა და გაცემული კვალიფიკაციების აღიარებას განათლების ევროპულ სივრცეში.


1 დონე
მე-2 დონე
მე-3 დონე
მე-4 დონე
მე-5 დონე
მე-6 დონე
მე-7 დონე
მე-8 დონე
ზოგადი განათლება
პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება
ზოგადი განათლება
პროფესიული მომზადება
პროფესიული განათლება
ასოციირებული ხარისხი
ქართული/სახელმწიფო ენაში მომზადება
უმაღლესი განათლება
1
2
3
4
5
6
7
8

1 დონე



მოკლე აღწერა: პირს შეუძლია მარტივი და ერთგვაროვანი დავალებების შესრულება ნაცნობ, უცვლელ გარემოში, მარტივი პრობლემების გადაჭრა, სწავლა ხელმძღვანელობის ქვეშ.

პროგრამა: ქართულ/სახელმწიფო ენაში მომზადება

გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

მე-2 დონე



მოკლე აღწერა: პირს შეუძლია რუტინული, ერთგვაროვანი დავალებების შესრულება სტრუქტურირებულ სამუშაო გარემოში, ნაცნობი პრობლემების გადაჭრა, საკუთარი საქმიანობის შეფასება

პროგრამა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხური
გაცემული დოკუმენტი: ატესტატი

პროგრამა: პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება
გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

პროგრამა: ქართულ/სახელმწიფო ენაში მომზადება
გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: ატესტატი გაიცემა 9 კლასის დამთავრების შემდეგ, ატესტატის საფუძველზე პირს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს საბაზო ან საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე

მე-3 დონე



მოკლე აღწერა: პირს შეუძლია რუტინული, ერთგვაროვანი დავალებების შესრულება ნაწილობრივ ცვლად გარემოში, ერთგვაროვანი პრობლემების გადაჭრა, საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება და სწავლა ხელმძღვანელის დახმარებით

პროგრამა: საბაზო პროფესიული
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი

პროგრამა: პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება
გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

პროგრამა: ქართულ/სახელმწიფო ენაში მომზადება
გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

მე-4 დონე



მოკლე აღწერა: პირს შეუძლია არაერთგვაროვანი დავალებების შესრულება პროგნოზირებად, ცვალებად გარემოში, არაერთგვაროვანი პრობლემების გადაჭრა, საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება და გაუმჯობესება, სწავლა ნაწილობრივ დამოუკიდებლად

პროგრამა: სრული ზოგადი განათლება
გაცემული დოკუმენტი: ატესტატი

პროგრამა: საშუალო პროფესიული (შესაძლებლობას იძლევა ინტეგრირდეს ზოგადი განათლების სწავლის შედეგები)
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი

პროგრამა: პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება
გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

პროგრამა: ქართულ/სახელმწიფო ენაში მომზადება
გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: ატესტატი გაიცემა 12 კლასის დამთავრების შემდეგ, ატესტყატის საფუძველზე პირს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს საშუალო ან უმაღლესს პროფესიულ პროგრამაზე, მოკლე ციკლის პროგრამაზე, საბაკალავრო პროგრამაზე, დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამაზე, ვეტერინარიის მაგისტრის პროგრამაზე, განათლების მაგისტრის პროგრამაზე, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე ინტეგრირებული პროგრამის დასრულების შემდეგ, პირს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მიმართულებით

მე-5 დონე



მოკლე აღწერა: პირს შეუძლია კომპლექსური დავალებების შესრულება სწრაფად ცვალებად, არაპროგნოზირებად გარემოში, აბსტრაქტული და კონკრეტული პრობლემების გადაჭრა, საკუთარი და სხვების პროფესიული განვითარების შეფასება და გაუმჯობესება, სწავლა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით

მოკლე ციკლის პროგრამა
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი (ასოცირებული ხარისხი)

უმაღლესი პროფესიული პროგრამა
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი

პროგრამა: პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება
გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მოკლე ციკლის პროგრამა უკავშირდება შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო ან ერთსაფეხურიან (ინტეგრირებულ) პროგრამას

მე-6 დონე



მოკლე აღწერა: პირს შეუძლია კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სამუშაო გარემოში რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრა, მითითებების შესაბამისად კვლევითი ნაშრომის განხორციელება, განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი, საკუთარი და სხვების პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით

პროგრამა: საბაკალავრო პროგრამა
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი (ბაკალავრი)

მასწავლებლის მომზადების პროგრამა
გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: ბაკალავრის დიპლომის საფუძველზე პირს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურის საფეხურზე, ასევე მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე/ვეტერინარის მომზადების პროგრამაზე (მხოლოდ ვეტერინარის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს)

მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის საფუძველზე პირს უფლება აქვს დაიწყოს მუშაობა მასწავლებლად ზოგადი განათლების საფეხურზე

მე-7 დონე



მოკლე აღწერა: პირს შეუძლია უცნობ, არაპროგნოზირებად, მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაჭრის ახალი გზების ძიება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, საკუთარი და სხვების პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით

პროგრამა: სამაგისტრო პროგრამა
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი (მაგისტრი)

პროგრამა: დიპლომირებული მედიკოსი
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი

პროგრამა: დიპლომირებული სტომატოლოგი
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი

პროგრამა: განათლების მაგისტრი
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი

პროგრამა: ვეტერინარიის მაგისტრი
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი

პროგრამა: ვეტერინარის მომზადება
გაცემული დოკუმენტი: სერტიფიკატი

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: ყველა ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტის საფუძველზე პირს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე

მე-8 დონე



მოკლე აღწერა: პირს შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაჭრა სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების გზით, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, ახალი ცოდნის შექმნა, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეების და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებებისა და კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად

პროგრამა: სადოქტორო პროგრამა
გაცემული დოკუმენტი: დიპლომი (დოქტორი)

საქართველოს განათლების სისტემა ასაკობრივ ჭრილში



2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემა

სისტემის აღწერა

საქართველოში სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, ნებაყოფლობითია.

ასაკი (წელი)	0 - 2	2 - 5		5 - 6	
სახელმწიფო სტანდარტი	ადრეული განვითარების სტანდარტი	ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი		სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი	
მაკონტროლებელი	მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტი		მუნიციპალიტეტი	
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	კერძო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო
საფასური ბენეფიციარისთვის	ფასიანი	ფასიანი	უფასო	ფასიანი	უფასო

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამების მიწოდება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე, აფხაზურ ენაზე. დაწესებულება უფლებამოსილია ბავშვებს მიაწოდოს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურება მათ მშობლიურ ან/და არასახელმწიფო ენაზეც.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი დაწესებულებების განაწილება რეგიონულ ჭრილში



შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

შესაბამისი პროგრამის დასრულების შემდეგ არ გაიცემა ოფიციალური დოკუმენტი და სკოლაში შესვლის წინაპირობას არ წარმოადგენს.

3. ზოგადი განათლების სისტემა

სისტემის აღწერა

საქართველოში დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა.

ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რისთვისაც არსებობს ზოგადი განათლების სისტემა. მოსწავლის განათლების სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება როგორც საჯარო, ისე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, გრძელდება 12 წლის განმავლობაში.

დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი.

შესაბამისად, დაუშვებელია მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა საბაზო საფეხურის დაძლევამდე.

საქართველოს განათლების სისტემის გზამკვლევი

	დაწყებითი საფეხური		საბაზო საფეხური		საშუალო საფეხური	
მოსწავლის სავარაუდო ასაკი	6 - 12		12 - 15		15 - 18	
ხანგრძლივობა (წელი)	6		3		3	
სავალდებულოობა	✓		✓		✗	
ავტორიზაცია (ხარისხის უზრუნველყოფა)	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი		განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი		განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	
დამამთავრებელი დოკუმენტი	არ გაიცემა		საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი		სრული ზოგადი განათლების ატესტატი	
სწავლის გაგრძელება	საბაზო საფეხურზე		საშუალო საფეხურზე; პროფესიულ პროგრამებზე		უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე; მოკლე ციკლის პროგრამებზე; პროფესიულ პროგრამებზე	
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო
ეროვნული სასწავლო გეგმა	✓	✓	✓	✓	✓	✓
ალტერნატიული პროგრამის შესაძლებლობა		✓		✓		✓
სახელმწიფო ვაუჩერი	✓	✓	✓	✓	✓	✓
დამატებითი საფასური ბენეფიციარისთვის	✗	✓	✗	✓	✗	✓

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა

ავტორიზაცია

სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები გადიან ავტორიზაციას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას ახორციელებს სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ავტორიზაციის ვადა 6 წელია. ამ ვადის გასვლის შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გადის ხელახალ ავტორიზაციას. ავტორიზაციის პერიოდში, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების და ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების მიზნით, ხორციელდება ავტორიზებული დაწესებულებების გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი. ასევე, დაწესებულებები ახორციელებენ პერიოდულ თვითშეფასებას.

საერთაშორისო პროგრამები

ავტორიზაციის გარეშე ფუნქციონირებენ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები. ამ პროგრამების ხარისხს უზრუნველყოფენ საერთაშორისო ორგანიზციები, რომლებთანაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აფორმებს ხელშეკრულებას. ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობაა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა.

საჯარო სკოლები

საჯარო სკოლები დროებით ჩათვლილია ავტორიზებულად.

ზოგადი განათლების მიღების ალტერნატიული გზები

ექსტერნატი

ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია დამოუკიდებლადაც. ასეთ შემთხვევაში ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღება ხდება ექსტერნატის წესით.

ზოგადი განათლების მიღება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ალტერნატიული ფორმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით.

ინტეგრირებული პროფესიული პროგრამები

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ სწავლის გაგრძელება შესაძლებელია ინტეგრირებულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რის საფუძველზეც გაცემული პროფესიული დიპლომი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:



კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები ზოგად განათლებაში

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებულია:

- საქართველოში განხორციელებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი.

საქართველოს განათლების სისტემაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები:

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების საფუძველზე პირს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს:

- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე;
- საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დასრულების საფუძველზე პირს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საბაკალავრო პროგრამაზე;
- ინტეგრირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სწავლის შედეგებს).

4. პროფესიული განათლების სისტემა

სისტემის აღწერა

საქართველოში პროფესიული განათლების მიღება ნებაყოფლობითია. პროფესიულ განათლებაში შესვლისთვის ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დადგენილი, რითაც ის ქმნის პიროვნული და პროფესიული განვითარების უწყვეტ შესაძლებლობას.

პროფესიულ განათლებაში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური. სხვა ენაზე სწავლა დაშვებულია, თუ ეს შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ან გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სმენის დარღვევის მქონე პირებისთვის გამოიყენება ჟესტური ენა, ხოლო მხედველობის დარღვევის მქონე პროფესიული სტუდენტისთვის - ბრაილის სისტემა.

პროფესიული განათლების მიმწოდებლები

საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება აქვთ საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს/კოლეჯებს, უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ იურიდიულ პირებს. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა მუდმივად იზრდება და მისი მიღება შესაძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა მთლიანად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კი არსებობს როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ისე თვითდაფინანსებული პროგრამებიც.


N
აფხაზეთი
სამეგრელო-ზემო სვანეთი
9
რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი
1
სამ. ოსეთის ა.ო.
მცხეთა მთიანეთი
4
იმერეთი
12
გურია
1
შიდა ქართლი
6
თბილისი
50
კახეთი
8
აჭარა
15
სამცხე ჯავახეთი
4
ქვემო ქართლი
6
პირობითი ნიშნები
რეგიონები
რაოდენობა
პროცენტი
0 - 1
0 - 0.86 %
1 - 6
0.86 - 5.17 %
6 - 9
5.17 - 7.75 %
9 - 15
7.75 - 12.93%
15 - 50
12.93 - 43.10 %
მონაც. არ არის
მონაც. არ არის
Scale: 1:1,500,000

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნებზეა ორიენტირებული და აქცენტს აკეთებს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ან/და სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა განსხვავებულია და მერყეობს ერთი წლიდან სამ წლამდე.

პროფესიული განათლება პროგრამების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. პროგრამების სახეებია:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
იდიოტური ბარიერ
ბაკალავრიატი
ბაკალავრიატი
ბაკალავრიატ
ბაკალავრიატ
ბაკალავრ
ბაკალავ
ბაკალ
ბაკ
ბ
ბ
ბ

პროგრამების განხორციელების თავისებურებები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით, რაც ნიშნავს იმას, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლა ხორციელდება დუალური ან კოოპერაციული სწავლებით. აღნიშნული მიდგომა საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, ნებისმიერი ზომის ბიზნესს (დუალური სწავლების შემთხვევაში - მსხვილ კომპანიებს/საწარმოებს, ხოლო კოოპერაციული სწავლების შემთხვევაში - მიკრო/მცირე ბიზნესის განმახორციელებლებს) ჩაერთოს პროფესიულ განათლებაში და მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრი, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიასთან დაკავშირებული უნარების გამომუშავებას რეალურ სამუშაო გარემოში, რაც მათი შემდგომი დასაქმების და პროფესიული განვითარების საწინდარია. რეალურ სამუშაო გარემოში სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპი შემდეგია: საგანმანათლებლო პროგრამა იყოფა ორ ნაწილად, საიდანაც თეორიულ კომპონენეტს პროფესიული სტუდენტი ითვისებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო პრაქტიკულ უნარებს ეუფლება რეალურ სამუშაო გარემოში.

დუალური სწავლების პრაქტიკა საქართველოში 2016 წლიდან დაიწყო და დღემდე წარმატებით ხორციელდება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს გაცვლითი ან ერთობლივი პროგრამის სახითაც.

გაცვლითი პროგრამა ხორციელდება საქართველოსა და სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. ერთობლივი პროგრამა კი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ან საქართველოსა და სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

ჩარიცხვა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება. როგორც წესი, ეს მოთხოვნები უკავშირდება წინარე განათლების არსებობას, თუმცა, კონკრეტული პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებით შეიძლება დაწესდეს სხვა მოთხოვნებიც. მაგ: განისაზღვროს პროგრამაზე ჩაბარების მინიმალური ასაკი ან სავალდებულო იყოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა და სხვ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები



პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები საკანონმდებლო დონეზე არ არის გაწერილი და ის განისაზღვრება კონკრეტული პროგრამით.

საქართველოში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ორი გზით. ესენია:

- პროფესიული ტესტირება - ტარდება ცენტრალიზებულად, წელიწადში ორჯერ. ტესტირების დროს აპლიკანტი გამოცდას აბარებს პროფესიულ უნარებსა და დარგის შესაბამის საგნის/საგანთა ჯგუფში. პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული კონკურსი/შერჩევა - პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს თავად საგანმანათლებლო დაწესებულება.

კონკურსი/შერჩევის გზით გასავლელი ეტაპები:



ტესტირების გზით გასავლელი ეტაპები:



ხარისხის უზრუნველყოფა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის დაწესებულებამ უნდა გაიაროს ავტორიზაცია. აღნიშნულ პროცესს ადმინისტრირებას უწევს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ავტორიზაციის დროს მოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულება ხარისხის დადგენილ სტანდარტებს.

მონიტორინგი - სახელმწიფო მუდმივად აკონტროლებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხს, რისთვისაც ის ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე პერიოდში ამოწმებს დაწესებულებას. კონტროლის აღნიშნული მექანიზმი არის მონიტორინგი. ის უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხარისხის შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას.



ავტორიზაცია - ავტორიზაცია ვადიანია და მისი მინიჭება ხდება 6 წლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაწესებულებას შეუძლია თავიდან გაიაროს ავტორიზაცია. ავტორიზებული დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი/სერტიფიკატი - აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

თვითშეფასება - დაწესებულებები ვალდებულნი არიან პერიოდულად განახორციელონ საკუთარი საქმიანობის შეფასება ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან მიმართებით და შესაბამისი ანგარიში წარადგინონ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისათვის დაინტერესებულმა იურიდიულმა პირმა უნდა გაიაროს შემოწმების პროცესი და დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ხარისხის სტანდარტები. აღნიშნულ პროცესს ადმინისტრირებას უწევს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროგრამების განხორციელების უფლება გაიცემა 3 წლის ვადით.

შეფასების სისტემა პროფესიულ განათლებაში

პროფესიულ განათლებაში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება.

განმსაზღვრელი შეფასება არადიფერენცირებულია და ორი ტიპისაა:



სწავლის შედეგი დასტურდება იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებელი პირი აჩვენებს, რომ ის ფლობს ამ სწავლის შედეგით გათვალისწინებულ ცოდნას/უნარებს. სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში პირს ენიჭება კრედიტი.

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები პროფესიულ განათლებაში

პროფესიულ განათლებაში გაიცემა შემდეგი ტიპის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგამის დასრულების შემდგომ	»	დიპლომი
მოკლე ციკლის პროგრამის დასრულების შემდგომ	»	დიპლომი (ასოცირებული ხარისხი)
პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგამის დასრულების შემდგომ	»	სერტიფიკატი

კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად სავალდებულო წესით გაიცემა მისი დანართი.

ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება

საქართველოში კომპეტენციების შეძენა ხდება ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში.

ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება მოქნილი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს: მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას, მობილობას, კარიერულ განვითარებას, დროისა და რესურსების ოპტიმიზაციას.

განათლება

ფორმალური	არაფორმალური
განათლება, რომლის მიღება ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი/სერტიფიკატი).	კომპეტენციები, რომელიც შეძენილია საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმა. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტრენინგები/კურსები, ან მუშაობის პროცესში მიღებული გამოცდილება, ან სახლის პირობებში ახლობლების საქმიანობაზე დაკვირვებით შეძენილი ცოდნა/უნარები და სხვ.
აღიარებას ახორციელებს ნებისმიერი მიმღები დაწესებულება	აღიარების განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამისი უფლების მოპოვება. პირისთვის პროგრამის ყველა სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში გაიცემა დიპლომი, ხოლო სწავლის შედეგების ნაწილის აღიარების შემთხვევაში - სერტიფიკატი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები

საშუალო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა გააგრძელოს აკადემიური განათლების მიმართულებით, ხოლო მოკლე ციკლის პროგრამის კურსდამთავრებული პირდაპირ უკავშირდება ბაკალავრიატის ან ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამას. ამ მიმართულებით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, პირს შესაძლებლობა ეძლევა განახორციელოს პროფესიული განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება და მცირე დროში მოიპოვოს უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაცია.

შესაძლებლობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის

საქართველოში სახელმწიფო ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათ სოციალიზაციას. ამ მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაში სსსმ პირებისთვის გათვალისწინებულია მისაღების ადგილების განსაზღვრული რაოდენობა. ამასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებები სსსმ პირებს სთავაზობენ დამატებით სერვისებს, უზრუნველყოფენ მათთვის ადაპტირებული გარემოს მოწყობას და ეხმარებიან სწავლის სირთულეების დაძლევაში, რისთვისაც, ახორციელებენ ცვლილებებს სასწავლო გეგმასა და საგანმანათლებლო პროგრამებში.

5. უმაღლესი განათლების სისტემა

სისტემის აღწერა

საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა სამი საფეხურისგან შედგება. ესენია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში - ასევე აფხაზური. სხვა ენაზე სწავლება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ან გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.

უმაღლესი განათლების პროვაიდერები

საქართველოში უმაღლესი განათლების მიწოდებას ახორციელებენ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები. არსებობს სამი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:

უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, ასევე - სამეცნიერო კვლევებს

სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს

კოლეჯი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ საბაკალავრო პროგრამებს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განაწილება რეგიონულ ჭრილში



Scale: 1:1,500,000

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები

უმაღლეს განათლებაში მოქმედებს შემდეგი პროგრამები:

სადოქტორო პროგრამები

მათი მოცულობაა არანაკლებ 180 კრედიტისა, ხოლო ხანგრძლივობა - მინიმუმ 3 წელი.

სამაგისტრო პროგრამები

პროგრამების მოცულობაა 120 კრედიტი, ხოლო ხანგრძლივობა - 2 წელი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA). მისი მოცულობაა 60 კრედიტი, ხანგრძლივობა - 1 წელი. აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილებისა მართვის სფეროში. ეს ხარისხი არ აძლევს პირს სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

საბაკალავრო პროგრამები

ძირითად შემთხვევებში პროგრამების მოცულობაა არანაკლებ 240 კრედიტი, ხოლო ხანგრძლივობა - 4 წელი.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული სახელოვნებო-შემოქმედებითი ან საქართველოსა და სხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი პროგრამები, შეიძლება იყოს 180 კრედიტი. პროგრამების ხანგრძლივობა - 3 წელი.

ზემოთ დასახელებული ტიპური კვალიფიკაციების გარდა, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება ერთსაფეხურიანი (ინტეგრირებული) პროგრამები. აღნიშნული პროგრამების დამთავრების შემდეგ პირი იღებს აკადემიურ ხარისხს, რომელიც გათანაბრებულია მაგისტრატურის აკადემიურ ხარისხთან.

01

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა

პროგრამის მოცულობაა 360 კრედიტი

ხანგრძლივობა - 6 წელი

02

დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა

პროგრამის მოცულობაა 300 კრედიტი

ხანგრძლივობა - 5 წელი

03

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის მოცულობაა 300 კრედიტი

ხანგრძლივობა - 5 წელი

04

ვეტერინარის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოცულობაა 300 კრედიტი

ხანგრძლივობა - 5 წელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ ასევე დამოუკიდებელ საგანმანათლებლო პროგრამებს. ეს პროგრამებია:

05

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი

ხანგრძლივობა - 1 წელი

06

ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოცულობაა 60 კრედიტი

ხანგრძლივობა - 1 წელი

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებული პროგრამების ნაწილი მიეკუთვნება რეგულირებად სფეროს. ასეთი პროგრამებია:



საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში შესაძლებელია ერთობლივი და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ერთობლივი პროგრამები ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას/დაწესებულებებსა ან/და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, ასევე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.

გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ დროს ქართველი სტუდენტები პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ნაწილს მოიპოვებენ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ჩარიცხვა

აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება. როგორც წესი, ეს მოთხოვნები უკავშირდება წინარე განათლების არსებობას.



ერთიანი ეროვნული გამოცდები ტარდება წელიწადში ერთხელ ცენტრალიზებულად. პროცესს ორგანიზებას უწევს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვრება იმ სავალდებულო საგნების ჩამონათვალი, რომელთა ჩაბარებაც აუცილებელია აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით. სავალდებულო საგნების გარდა, აბიტურიენტებს უფლება აქვთ აირჩიონ და ჩააბარონ გამოცდები სხვა საგნებშიც.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ან საქართველოს მოქალაქეებისათვის ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ:

- აღნიშნულმა პირებმა უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- სტუდენტები უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობენ უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის აუცილებელია:

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა

↓

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება

↓

უმაღლესი საგანმანათლებლო დაესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდ(ებ)ის ჩაბარება

მაგისტრატურის საფეხურზე საერთო სამაგისტრო გამოცდები ტარდება წელიწადში ერთხელ ცენტრალიზებულად. პროცესის ორგანიზებას ახორციელებს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. აპლიკანტები ვალდებულნი არიან ჩააბარონ ერთი ტესტი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია თავად დაადგინოს მისაღები გამოცდების რაოდენობა.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ან საქართველოს მოქალაქეებისათვის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ:

- აღნიშნულმა პირებმა უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აღნიშნული პირები ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;
- აღნიშნულმა პირებმა გადალახეს შესაბამისი ზღვარი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში.

სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისთვის აუცილებელია:



მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია:

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისი

↓

საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება

საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების მიზნით აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგნობრივი გამოცდა.

ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია:

ვეტერინარიის ბაკალავრის ხარისხი

უმაღლესი განათლების დაფინანსება

საქართველოს სახელმწიფო გასცემს სასწავლო გრანტებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის. სასწავლო გრანტების მოცულობა და პროგრამული დაფინანსება განისაზღვრება ყოველწლიურად, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები

უმაღლეს განათლებაში გაიცემა შემდეგი ტიპის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები:

- საბაკალავრო პროგრამები;
- სამაგისტრო პროგრამები;
- სადოქტორო პროგრამები;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა;
- დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა;
- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა;
- ვეტერინარიის ინტეგრირებული პროგრამა

→ **დიპლომი**

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვეტერინარიის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

→ **სერტიფიკატი**

კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად სავალდებულო წესით გაიცემა მისი დანართი.

ხარისხის უზრუნველყოფა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებისთვის დაწესებულებამ უნდა გაიაროს ავტორიზაცია. აღნიშნულ პროცესს ადმინისტრირებას უწევს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ავტორიზაციის დროს მოწმდება თუ რამდენად შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულება ხარისხის დადგენილ სტანდარტებს.

მონიტორინგი - სახელმწიფო მუდმივად აკონტროლებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხს, რისთვისაც ის ავტორიზაციიდან ავტორიზაციამდე პერიოდში ამოწმებს დაწესებულებას. კონტროლის აღნიშნული მექანიზმია მონიტორინგი.



ავტორიზაცია - ავტორიზაცია ვადიანია და მისი მინიჭება ხდება 6 წლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაწესებულებას შეუძლია თავიდან გაიაროს ავტორიზაცია. ავტორიზებული დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი/სერტიფიკატი - აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

თვითშეფასება - დაწესებულებები ვალდებულნი არიან გარკვეული პერიოდულობით განახორციელონ საკუთარი საქმიანობის შეფასება ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან მიმართებით და შესაბამისი ანგარიში წარადგინონ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

სახელმწიფო ზრუნავს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარებაზე, რისთვისაც ახორციელებს პროგრამების აკრედიტაციას.

აკრედიტაციის გავლა სავალდებულოა სადოქტორო პროგრამების, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებისთვის. სხვა პროგრამების შემთხვევაში, ის ნებაყოფლობითია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს დაფინანსება გაიცემა მხოლოდ აკრედიტირებულ პროგრამებზე. აკრედიტაცია ვადიანი პროცესია და განისაზღვრება 4 წლით პროგრამის პირველადი აკრედიტაციის შემთხვევაში და 7 წლით განმეორებითი აკრედიტაციის შემთხვევაში.

კრედიტების და შეფასების სისტემა

უმაღლეს განათლებაში გამოიყენება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS). კრედიტების აღნიშნული სისტემა არის სტუდენტზე ორიენტირებული. ის ხელს უწყობს მობილობის პროცესს და საშუალებას აძლევს სტუდენტს თავისუფლად გადაადგილდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისე, რომ მის მიერ ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაგროვილი კრედიტები აღიარებული იქნეს მეორე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 (ECTS) კრედიტს.

სტუდენტისთვის კრედიტის მინიჭება ხდება **დადებითი** შეფასების მიღების შედეგად.

შეფასების სახეებია:

A	ფრიადი	91-100 ქულა
B	ძალიან კარგი	81-90 ქულა
C	კარგი	71-80 ქულა
D	დამაკმაყოფილებელი	61-70 ქულა
E	საკმარისი	51-60 ქულა
FX	ვერ ჩააბარა - სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე	41-50 ქულა
F	ჩაიჭრა - სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს საგანი	40 ქულა და ნაკლები

შესაძლებლობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის

საქართველოში სახელმწიფო ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათ სოციალიზაციას. ამ მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებები სსსმ პირებს სთავაზობენ დამატებით სერვისებს, უზრუნველყოფენ მათთვის ადაპტირებული გარემოს მოწყობას და ეხმარებიან სწავლის სირთულეების დაძლევაში, რისთვისაც ახორციელებენ ცვლილებებს სასწავლო გეგმასა და საგანმანათლებლო პროგრამებში.

საერთაშორისო აღიარება

- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელი (CEENQA) - აღნიშნული ქსელი წარმოადგენს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშნელოვან პლატფორმას. მასში გაერთიანებით საქართველოს საშუალება ეძლევა აქტიურად ითანამშრომლოს ქსელის წევრ სააგენტოებთან, მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ პროექტებში და გაიზიაროს ქსელის წევრი სააგენტოების გამოცდილება.

- სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME) - საქართველოში არსებული მედიცინის პროგრამები აღიარებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ. აღნიშნული უზრუნველყოფს საქართველოში არსებული მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულების მიერ მიღებული განათლების აღიარებას შეერთებულ შტატებში და მის ფარგლებს გარეთ და საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს დასაქმდნენ და სწავლა გააგრძელონ ნებისმიერ ქვეყანაში.

- უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრი (EQAR) – აღნიშნული ორგანიზაცია მხარს უჭერს უმაღლესი განათლების სფეროში გამჭვირვალობას და ნდობის ამაღლებას, ასევე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში განათლების აღიარებას. EQAR-ში რეგისტრაცია ნიშნავს, რომ საქართველოში განხორციელებული გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შესაბამისობაშია ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG-2015), რაც ხელს უწყობს ევროპის მასშტაბით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეპუტაციის და ცნობადობის ამაღლებას.

დოკუმენტში გამოყენებული სტატისტიკური მასალა ეფუძნება 2020 წლის მონაცემებს.

საქართველოს განათლების სისტემა





საქართველოს

განათლების სისტემის

გზამკვლევი